პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

სხდომის ოქმი № 3

ქ. თბილისი **24.12.2019**

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე)
თამაზ ბახტაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი)
მარიკა ზაქარეიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს მდივანი)
ნინო ტალიაშვილი - დამოუკიდებელი ექსპერტი (საბჭოს წევრი)
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი)
ქრისტინე მეფარიშვილი - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი)
თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისათვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი)

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა შაყულაშვილი - პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს აპარატის (შემდგომში საბჭოს აპარატი) უფროსი
მაყვალა დარსანია - საბჭოს აპარატის კოორდინატორი
ნინო ბაბალაშვილი - საბჭოს აპარატის კოორდინატორი
ხატია ცირამუა - საბჭოს აპარატის კოორდინატორი

იურიდიული პირების წარმომადგენლები:

შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი:

ნათია ვაჭარაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

კობა არაბული - მოკლევადიანი პროგრამების ხელმძღვანელი

ნანა ჯანაშია - სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელი

შპს ტრანსკავკასიის ენერჯი:

მამუკა სხვიტარიძე - კომპანიის დირექტორი

ლევან ქარაზანაშვილი - ხარისხის მენეჯერი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“

მარიამ კუზანაშვილი - ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის მენეჯერი

ეკატერინე მამაცაშვილი - სასწავლო ცენტრის განყოფილების ხელმძღვანელი

ლელა მერაბიშვილი - სასწავლო ცენტრის განყოფილების ტრენერი და ფსიქოლოგი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

ქეთევან ჯანელიძე
ირმა ღარიბაშვილი
მაკო ჯაოშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, რომ სხდომას ესწრებოდა საბჭოს 7 წევრი და გამოაცხადა, რომ ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ № 131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს აპარატის კოორდინატორმა, მაყვალა დარსანიამ, განუმარტა დამსწრეებს, რომ საბჭოს ოქმის სრულყოფილად შედგენის მიზნით, მიმდინარეობდა სხდომის აუდიო ჩაწერა, ოქმის პროექტის მომზადების შემდგომ კი ჩანაწერი განადგურდებოდა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული გადამზადების პროგრამების განხილვა;
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ის პროფესიული მომზადების პროგრამის განხილვა;
3. შპს ტრანსკავკასიის ენერჯის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხილვა.

საბჭოს აპარატის უფროსმა თეა შაყულაშვილმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, შეეცვალათ დღის წესრიგით გათვალისწინებული წარსადგენი საკითხების თანმიმდევრობა, რადგან დროულად ვერ ახერხებდა მოსვლას პირველი საკითხის წარმდგენი ექსპერტი.

ყველა მხარე დაეთანხმა საკითხის გადანაცვლებას, რის შემდგომაც საბჭომ დაამტკიცა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით და გადავიდა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვაზე.

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112"-ის პროფესიული მომზადების პროგრამის განხილვა;

2. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული გადამზადების პროგრამების განხილვა;

3. შპს ტრანსკავკასიის ენერჯის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხილვა.

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს ჰკითხა, იცნობდნენ თუ არა ექსპერტების დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს აპარატის კოორინდატორი ხატია ცირამუა მიესალმა საბჭოს წევრებს და დაწესებულების წარმომადგენლებს. აპარატის კოორდინატორმა საბჭოს მოახსენა, რომ 2019 წლის 28 ნოემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, შემოვიდა სსიპ „112"-ის ელექტრონული განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით. საბჭოს აპარატმა 3 დღის ვადაში შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და იურიდიულმა პირმა საბჭოს აპარატის მიერ განსაზღვრული 5 დღის ვადაში დააზუსტა პროგრამაში ჩართული განმახორციელებელი პირების სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამის შემდეგ გაგრძელდა წარმოება და აღნიშნული პროგრამის შეფასებისთვის საბჭოს აპარტის მიერ მოწვეულ იქნა ექსპერტთა კორპუსის წევრი, ექსპერტი მაკო ჯაოშვილი. 2019 წლის 10 დეკემბერს განხორციელდა ვიზიტი სსიპ „112"-ში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ჩატარებული ვიზიტის შედეგად, ექსპერტისა და საბჭოს აპარატის კოორდინატორის მიერ მომზადდა დასკვნა, რომელიც ექსპერტმა მაკო ჯაოშვილმა წარმოადგინა. წარმოდგენილი დასკვნა თანმიმდევრულად პასუხობს საქართველოს მთავრობის N131 დადგენილებით განსაზღვრულ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებს და ქვესტანდარტებს.

ექსპერტი მაკო ჯაოშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა საბჭოს აპარატს პროგრამის შეფასებაში ჩართვისთვის. ექსპერტმა გამოხატა კმაყოფილება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების სისტემით ორგანიზაციის დაინტერესებისა და კარგად მომზადებული პროგრამის წარმოდგენისთვის. ექსპერტმა პრეზენტაცია პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაციის წარდგენით დაიწყო: პროგრამის სახელწოდება - „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი", ორგანიზაციის საქმიანობის სფერო - სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება, პროგრამის სახე - პროფესიული მომზადება, პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში - მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 15, მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 15 მსმენელი. რადგან პროგრამის სწავლების პროცესი არის ინტერაქტიული, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია მსმენლთა სწორედ ამ რაოდენობის ჯგუფში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის შედეგად, ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, ექსპერტმა შეაფასა პროგრამის შესაბამისობა თოთოეული სტანდარტის და ქვესტანდარტის მიხედვით. პირველი სტანდარტის პირველ ქვესტანდარტთან - პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს - დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის კარგი მაგალითი, პრაქტიკა კომპეტენტური ადამიანების მიერ ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პროგრამის შემუშავების. ექსპერტის აზრით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული სსიპ „112" ტრენინგ ცენტრის ხელმძღვანელი და სხვა თანამშრომლები პრაქტიკულ გამოცდილებას გაუზიარებენ პროფესიაში შესვლის მსურველებს. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ერთია, როცა პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ თეორიული გამოცდილება, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როცა პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის საფუძველია სწორედ აღნიშნული პრაქტიკული გამოცდილებით ამ პროფესიით დაინტერესებული პირების პროფესიაში შესვლის ხელშეწყობა. ექსპერტის აზრით, პროგრამა პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და შეიძლება უზრუნველყოს ჩართული მსმენელის პროფესიული და პიროვნული განვითარება. ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, პირველი სტანდარტის პირველი ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.

ექსპერტის თქმით, პირველი სტანდარტის ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პირველი სტანდარტის 1.3 ქვესტანდარტი - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან - დაკმაყოფილებულია. ექსპერტმა ასევე დადებითად შეაფასა პროგრამის თავსებადობა პირველი სტანდარტის 1.4 ქვესტანდარტთან და აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამის შესწავლა შეუძლია სრული ზოგადი განათლების მქონე პირს - მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია. ექსპერტის აზრით, შემდეგი 1.5 ქვესტანდარტიც დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს.

რაც შეეხება პირველი სტანდარტის 1.6 ქვესტანდარტს: პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით, ექსპერტის თქმით, პროგრამის დოკუმენტაციის შესწავლის ეტაპზე სწავლის შედეგებში მკაფიოდ/ნათლად არ ჩანს, რა იცის და რა შეუძლია ტრენინგის მონაწილეს. თუმცა ვიზიტის დროს ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, ნათელი გახდა, რა კომპეტენცია უნდა გააჩნდეს ქოლცენტრში დასაქმებულ პერსონალს პროგრამის დასრულების შემდეგ: პროგრამის დასრულების შემდეგ პირმა ცოდნის დონეზე პროფესიაში შესვლის დროს იცის სამართლებრივი აქტები, ხოლო

პრაქტიკულად შეუძლია რეალურ სამუშაო გარემოში დისტანციური საკომუნიკაციო არხებით მიღებული ზარის მართვა.

ექსპერტმა ასევე დადებითად შეაფასა შემდეგი ქვესტანდარტები: 1.7 ქვესტანდარტი - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, 1.8 ქვესტანდარტი - სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით - დაკმაყოფილებულია. პროგრამაში გამოყენებული სწავლის მეთოდები: ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული დავალების შესრულება, დისკუსია, სიმულაციური თამაში, ზოგადად სწავლების ინტერაქტიული მეთოდები. 1.9 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს: პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, ექსპერტმა განაცხადა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს რეალურ გარემოში და აღნიშნული ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია. მან ხაზი გაუსვა სსიპ „112" ტრენინგ ცენტრის თანამშრომლების მაღალ მოტივაციას, რომ ჰყავდეთ სათანადოდ მომზადებული პროფესიული კადრები. პროგრამის მონაწილეებში პრაქტიკული უნარების გამომუშავება ხდება სამუშაო ადგილზე, პროგრამაში გამოყენებული სიმულაციური თამაშები ეფუძნება რეალურ მაგალითებს და სიტუაციურ ქეისებს.

პირველი სტანდარტის ბოლო 1.10 ქვესტანდარტთან დაკავშირებით - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას - ექსპერტმა განმარტა, რომ შედეგების შესაფასებლად გამოიყენება: ზეპირი/ წერილობითი გამოკითხვა და პრაქტიკული დავალების შეფასება. მისი თქმით, პროგრამის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მსმენელთა ობიექტურ და სამართლიან შეფასებას.

მეორე სტანდარტის - პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი - შეფასების დროს ექსპერტმა სათითაოდ მიმოიხილა მეორე სტანდარტის ოთხივე ქვესტანდარტი. 2.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით - ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს დასტურდება, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით (განმახორციელებელი პირების განათლების/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), ასევე ვიზიტის დროს გასაუბრებით პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ასევე, დაკმაყოფილებულია 2.2 ქვესტანდარტი - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და 2.3 ქვესტანდარტი - სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტთან - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში - დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების და შენობის მდგრადობის დასკვნები. ქვესტანდარტის დაკმაყოფილება ასევე დასტურდება მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დათვალიერებით. პროგრამა მეორე სტანდარტთან სრულ შესაბამისობაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა, ესაუბრა პროგრამის შეფასების დროს გამოვლენილი ხარვეზების შესახებ. აღნიშნულზე ექსპერტმა განაცხადა, რომ ხარვეზები არ გამოვლენილა, წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა სრულად აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის N131 დადგენილებით მოთხოვნილ ყველა სტანდარტს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციისთვის სამომავლოდ გასათვალისწინებლად შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია:

რეკომენდაცია 1.2. პროფესიული მომზადების პროგრამის შემდგომი განვითარებისას მიზანშეწონილია, სახელწოდება ჩასწორდეს შემდეგნაირად „დისტანციური მომსახურების მართვა";

რეკომენდაცია 1.6. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების აღწერისას უნდა დაკონკრეტდეს, რომელი შედეგი გადის ცოდნაზე და რომელი - უნარებზე;

რეკომენდაცია 2.2. სწავლის შედეგების მისაღწევად იურიდიულ პირს ასევე გააჩნია B და C გარემო, შესაბამისად, უნდა ჩასწორდეს მატერიალური რესურსის აღმნიშვნელ ყველა შესაძლო პუნქტში;

რეკომენდაცია 3.2. იურიდიულმა პირმა უნდა შეიმუშაოს ან უკვე არსებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112"-ის ოპერატორთა და დისპეტჩერთა შერჩევისა და მომზადების წესში (დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 1/345 (26/07/2019 ბრძანებით) დაამატოს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა შერჩევის პროცედურა, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან;

რეკომენდაცია 3.4. იურიდიულმა პირმა უნდა შეიმუშაოს ან უკვე არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში დაემატოს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ექსპერტმა პრეზენტაციის ბოლოს საბჭოს წარუდგინა იურიდიული პირის ინფრასტრუქტურის ფოტოები და მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას ყურადღებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენლებს და სთხოვა პოზიციის დაფიქსირება დასკვნაში მითითებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: სსიპ „112" სასწავლო ცენტრის მენეჯერი, პროექტების მენეჯერი და პროგრამის განმახორციელებელი პირი. ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უკვე გაეცნენ დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებს და დაწყებული აქვთ მათი შესრულების მიმართულებით მუშაობა. კერძოდ, სსიპ „112"-ის ოპერატორთა და დისპეტჩერთა შერჩევისა და მომზადების წესს (დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 1/345 (26/07/2019 ბრძანებით) დაემატა პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა შერჩევის პროცედურა. მიმდინარე რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ მოხდება აღნიშნული სამუშაო დოკუმენტის დამტკიცება.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა ორგანიზაციის წარმომადგენელს სთხოვა დამატებითი განმარტების გაკეთება პროგრამის თემატიკაში მითითებულ უცხო ენასთან (ინგლისური ენა) დაკავშირებით. ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სსიპ „112"-ში მუშაობენ რამდენიმე ენის მცოდნე ოპერატორები, თუმცა შემოსული ზარის სწორად გადამისამართების მიზნით, თითოეულ თანამშრომელს მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა ელემენტარულ დონეზე. შესაბამისად, პროგრამის თემატიკაში მითითებული უცხო ენა' გულისხმობს მსმენელის მომზადებას სპეციალობის შესაბამის ტერმინოლოგიაში.

საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილი ასევე დაინტერესდა სსიპ „112" კადრების მომზადების გამოცდილებით, რაზეც ორგანიზაციის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სსიპ „112" თანამშრომელთა რეკრუტირების შემდეგ ახდენს შერჩეული კადრების მომზადებას სპეციალური პროგრამით.

საბჭოს წევრმა ნინო ტალიაშვილმა ორგანიზაციის წარმომადგენლებს სთხოვა, დაეზუსტებინათ ხარისხის მართვის დოკუმენტში ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი სამსახური, რასაც დაეთანხმა ორგანიზიის წარმომადგენელი, რომ ეს იქნება გათვალისწინებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში.

დამატებითი კითხვები საბჭოს წევრებს არ ჰქონიათ და საბჭოს თავმჯდომარემ სსიპ „112“-ისთვის პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის კენჭისყრა გამოაცხადა.

„საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებისა და პროგრამაზე ერთჯერადად 15 მსმენელის მიღების საკითხზე ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად,

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ს (ს/კ: 204579429) მიეცეს უფლება, განახორციელოს ქვემოთ მოცემული პროფესიული მომზადების პროგრამა:

პროფესიული მომზადების პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00395	საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი	მომზადება	3	8	ქართული	15	თბილისი, ლისის ქ. #1 ა

2. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების

ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს ჰკითხა, იცნობდნენ თუ არა ექსპერტების დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

პრეზენტაცია წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ და განიხილა 4 გადამზადების პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა.

- ეკო/სასოფლო ტურისტული მიმართულების ტუროპერატორი
- ტუროპერატორი-რეგიონული დონე
- რეგიონული დონის გამყოლი (სახაზო) გიდი
- ქალაქის/დედაქალაქის გიდი

ქეთევან ჯანელიძემ აღნიშნა, რომ ტუროპერატორის მიმართულების პროგრამების ხანგრძლივობაა 8 კვირა, ხოლო გიდების - 9 კვირა. ოთხივე პროგრამაზე მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში არის 5, ხოლო მაქსიმალური 20 მსმენელი. მსმენელთა საერთო მოთხოვნილ რაოდენობად თითოეულ პროგრამაზე დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 60 მსმენელი.

ექსპერტმა თავდაპირველად ყურადღება გაამახვილა ოთხივე პროგრამისთვის იდენტურ საკითხებზე. პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. დაწესებულებას ჩატარებული აქვს ერთგვარი კვლევა და ვიზიტის დროს გასაუბრებისას როგორც აღნიშნეს დაწესებულების წარმომადგენლებმა, მათ ამ პროგრამების შემუშავების პროცესშივე გააკეთეს ერთგვარი წინასწარი განაცხადი, რითაც კიდევ ერთხელ სურდათ გადაემოწმებინათ, რამდენად იქნებოდა მოთხოვნა ამ პროგრამებზე. მათი თქმით, დაფიქსირდა ძალიან მაღალი მიმართვიანობა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნები.

სამი პროგრამის (ტუროპერატორი-რეგიონული დონე; რეგიონული დონის გამყოლი (სახაზო) გიდი; ქალაქის/დედაქალაქის გიდი) სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. რაც შეეხება მე-4 პროგრამის სახელწოდებას - ეკო/სასოფლო ტურისტული მიმართულების ტუროპერატორი, ფიქსირდება შეუსაბამობა. თემატიკა არ არის შესაბამისობაში სახელწოდებასთან. აგროტურიზმი და ფერმერული ტურიზმი ძალიან მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით და სასურველი იქნებოდა ამ მიმართულებითაც ყოფილიყო თემატიკა შეტანილი პროგრამაში. ასევე, პროგრამა არ მოიცავს ტურისტების უსაფრთხოების, დაზღვევის და საბანკო მომსახურების საკითხებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი თემებია. ბევრი მოქმედი ტუროპერატორიც კი საჭიროებს კონკრეტულად ამ მიმართულებით გადამზადებას. პროგრამის პირველ კვირაში არის ერთი შედეგი „საქართველოს, მისი კულტურისა და ხელოვნების ისტორია; ქვეყნის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი, დაცული ტერიტორიები" (თავად შედეგიც არასწორადაა ფორმულირებული), ხოლო თემატიკაში არ არის ქვეყნის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის, დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის შემცველი საკითხები; მესამე, მეოთხე და მეხუთე კვირებში არის ერთი და იგივე სწავლის შედეგი: „კონკრეტული ტურისტული ჯგუფისათვის აუცილებელი და საჭირო სარეკლამო/განმარტებითი ინფორმაციის მომზადება;" ხოლო შესაბამისი კვირების თემატიკაში საერთოდ არ არის ეს საკითხები ჩაშლილი. ამრიგად, პროგრამის ეკო/სასოფლო ტურისტული მიმართულების ტუროპერატორის სახელწოდება არ შეესაბამება პროგრამის შინაარს.

ექსპერტმა აქვე განმარტა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებამ მატერიალურად წარმოადგინა შიდა ბრძანებით დამტკიცებული ოთხივე პროგრამის სხვა ვერსიები, სადაც აღნიშნული ხარვეზები და უზუსტობები რიგ შემთხვევაში არ ფიქსირდებოდა. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ დასკვნა იწერება ოფიციალურად წარმოდგენილი ელექტრონული განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპერტმა იხელმძღვანელა მხოლოდ

ოფიციალურად წარმოდგენილი დოკუმენტაციით. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო გეგმის მონახაზიც, რითაც დასტურდება, თუ როგორ ხედავს დაწესებულება პროგრამის განხორციელების პროცესს. ასევე, გაკეთებული აქვთ ერთგვარი სასწავლო ცხრილიც, სადაც უკვე გადანაწილებულია შესაბამისი განმახორციელებელი პირებიც. თუმცა ეს ყველაფერი ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ ჩანს.

ოთხივე პროგრამის შედეგები არ არის აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, რის გამოც ვერ დგინდება პროგრამის მიზნისა და გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისობა; 1.3 ქვესტანდარტი - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან არ არის დაკმაყოფილებული. ამასთანავე, პროფესიული გადამზადების პროგრამების - „ეკო/სასოფლო ტურისტული მიმართულების ტუროპერატორისა" და "ქალაქის/დედაქალაქის გიდის" მიზნები სრულად იდენტურია.

ზოგადად ექსპერტმა აღნიშნა, რომ ოთხივე პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირებებიდან გამომდინარე, ვერ დგინდება ბევრი ქვესტანდარტის შესაბამისობა. თუ შედეგები ჩასწორდება და აღიწერება ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით, აღმოიფხვრება ბევრი ხარვეზი.

არცერთ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ არის მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატური და ვერ უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. რადგან წარმოდგენილი პროგრამები გულისხმობს რიგი პროფესიული ცოდნა-უნარების განახლებას, ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების, გეოგრაფიის ან სატყეო-საინჟინრო სფეროს წარმომადგენლებისათვის აღნიშნული პროგრამები ვერ იქნება გადამზადების გარანტი, რადგან მათ არ აქვთ წინარე ცოდნა ან გამოცდილება ტურიზმის მიმართულებით. წარმოდგენილი პროგრამებით 8 და 9 კვირის მანძილზე მსმენელები ვერ შეიძენენ პროგრამებით გათვალისწინებული აუცილებელი ცოდნის მიღებას. ექსპერტის რეკომენდაციით, სასურველი იქნებოდა, დაშვების წინაპირობად განისაზღვროს შესაბამისი მიმართულებების პროფესიული განათლებაც. ასევე, დაწესებულებაში არ არის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს უცხო ენაში პრეტესტის დროულად და გამჭვირვალედ ჩატარებას, რაც განსაზღვრულია დაშვების წინაპირობად ოთხივე პროგრამაში.

წარმოდგენილ გადამზადების პროგრამებში ვერ დგინდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან შესაბამისობაც. არცერთ პროგრამაში სწავლის შედეგები არ არის სწორად ფორმულირებული (შედეგები არ არის აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით), მათ შორის პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო თემა და დაშვების წინაპირობები არ არის მკაფიოდ და ნათლად ჩამოთვლილი. შესაბამისად, ვერ დგინდება რომელ დონეს შეესაბამება წარმოდგენილი პროგრამები. მნიშვნელოვანია ჩასწორდეს სწავლის შედეგები. ამ ეტაპზე ოთხივე პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების ფორმულირება ზოგადი და ბუნდოვანია. პროგრამის სწავლის შედეგები არ არის აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, რითაც ირღვევა 1.6 ქვესტანდარტიც (პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით). ასევე, სწავლის შედეგების არასწორი ფორმულირებებიდან გამომდინარე, ვერცერთ პროგრამაში ვერ დგინდება პროგრამის ხანგრძლივობის/მოცულობის/მსმენელთა სასწავლო დატვირთვის ადეკვატურობა სწავლის შედეგებთან ბმაში.

ვერ დგინდება პროგრამებში წარმოდგენილი სწავლის მეთოდების რელევანტურობაც. როგორც ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გაირკვა, ელექტრონულმა

ბაზამ მათ არ მისცათ საშუალება, მოენიშნათ ყველა სასურველი სწავლის მიმართულება (მაგ. „case study“).

ვერცერთ მოკლევადიან გადამზადების პროგრამაში ვერ დგინდება, რა ფორმით მოხდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომის განხორციელება. დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში არ ჰყავს პარტნიორები, რომლებიც რეალურ სამუშაო გარემოში პროგრამის მსმენელებს შესთავაზებენ ამ შესაძლებლობას. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ხელშეკრულება ერთ ტურისტულ კომპანიასთან, თუმცა ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს მხოლოდ ამ ტურისტული კომპანიის ოფისის განთავსებას დაწესებულების ფართში. ვიზუალური დათვალირებით გადამოწმდა გამოყოფილი კონკრეტული აუდიტორია, სადაც განთავსებულია ტურისტული რუკები და თვალსაჩინოებები. დაწესებულება გეგმავს, პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ გააფორმოს დამატებითი ხელშეკრულებები სხვა მოქმედ ტურისტულ კომპანიებთან და ფიქრობს, რომ ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ექსპერტის აზრით, დაწესებულებაში მოწყობილი იმიტირებული გარემო კარგი იქნება სასწავლო პროცესში, თუმცა ის ვერ ჩაანაცვლებს რეალურ ტურისტულ კომპანიას, სადაც რეალურ გარემოში უნდა მოხდეს მსმენელების გაყვანა და რეალურ ტურისტებთან შეხვედრა. ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა და სთხოვა, განემარტათ, შეექმნათ თუ არა რაიმე პრობლემა ტურისტულ კომპანიებთან ხელშეკრულებების დადების დროს. კითხვაზე უპასუხა კობა არაბულმა (პროგრამების ხელმძღვანელი) და აღნიშნა, რომ გაითვალისწინეს მათ ექსპერტის რეკომენდაცია, 4 კომპანიასთან უკვე გააფორმეს ხელშეკრულება და კიდევ რამდენიმესთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს ისიც, რომ პარტნიორი კომპანიების მოძიების პროცესში ბევრმა კომპანიამ არ გამოთქვა ამ ფორმატით თანამშრომლობის სურვილი. პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, პირველ ეტაპზე დაწესებულება 2 პროგრამაზე გეგმავს სწავლის დაწყებას. შესაბამისად ფიქრობს, რომ პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობა საკმარისი იქნება პირველი ნაკადებისთვის. ასევე პირველი ნაკადის მაგალითზე გააანალიზებენ, რამდენად სწორად წარიმართება პრაქტიკაში სასწავლო პროცესი და რა ცვლილებების შეტანა გახდება საჭირო სამომავლოდ პროგრამის უფრო დასახვეწად.

ექსპერტმა კვლავ გაამახვილა ყურადღება პროგრამებში მითითებულ დაშვების ერთ-ერთ წინაპირობაზე, უცხო ენაზე. დაწესებულების მიერ გაწერილ და დამტკიცებულ „პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელების შერჩევისა და ჩარიცხვის წესში“ კი გაწერილია, რომ საჭიროების შემთხვევაში, მსმენელს ჩაუტარდება პრეტესტი ენის კომპეტენციის დასადგენად. ამ ეტაპზე დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს ყველა ენაზე პრეტესტის მომზადებას. მხოლოდ ოთხ ენაზე (ინგლისური, რუსული, ფრანგული და გერმანული) შეძლებს ტესტის შედგენას. აღნიშნული შერჩევის წესი მთლიანობაში შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N71/ნ ბრძანებასთან „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“.

ექსპერტმა აღნიშნა ისიც, რომ მთლიანობაში დაწესებულებამ ვიზიტის ბოლოსვე გააანალიზა და სწორად მიიღო ყველა რეკომენდაცია და თუ აღნიშნული ხარვეზები გამოსწორდება, კიდევ შეიძლება ჰქონდეს დაწესებულებას ცდის შანსი. რადგან რაც შეეხება ხარისხის მექანიზმებს, ეს ნაწილი საკმაოდ კარგად აქვს გააზრებული დაწესებულებას და კითხვარებიც უკვე შემუშავებული აქვთ, რომელთა გამოყენებასაც აპირებენ პროგრამების განხორციელების პროცესშიც და პროგრამის დასრულების შემდეგაც. მიღებული შედეგების საფუძველზე პროგრამების შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, შეიტანენ ცვლილებებს, რაც უკვე მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის არ უნდა იყოს პრობლემა.

28

საბჭოს წევრებს მიმართა დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია ვაჭარაძემ და მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს რეკომენდაციებისთვის. მან აღნიშნა, რომ ისინი სრულებით აცნობიერებენ აღნიშნულ ხარვეზებს და მზად არიან მიღებული რეკომენდაციების გამოსასწორებლად. კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ელექტრონულ ბაზაში დოკუმენტების ატვირთვის დროს შექმნილ ხარვეზებზე. გამომდინარე აქედან, ვერ მოხდა პროგრამების იმ სახით ატვირთვა, რაც მათ რეალურად ჰქონდათ მომზადებული და ადგილზე დაახვედრეს ექსპერტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა, თუ რატომ ვერ მოხერხდა დონის შესაბამისობის დადგენა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ მათ მითითებული ჰქონდათ პროგრამის დონე (მე-5 დონე), თუმცა რამდენად შესაბამისობაში იყო ის ვერ განსაზღვრეს. სწავლის შედეგების ფორმულირებებიც ვერ გაითვალისწინეს. ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი კომენტარი გააკეთა საბჭოს აპარატის კოორდინატორმა ნინო ბაბალაშვილმა და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" 2019 წლის 15 მარტის N131-ე დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სწორი დონის საბოლოო განსაზღვრა, რაც აისახება საბჭოს გადაწყვეტილებაში, არის ცენტრის პრეროგატივა. პრაქტიკაში შიდა პროცედურა იყო ასეთი: საბჭოს აპარატი შემოსულ პროგრამებს ვიზიტამდე უგზავნიდა კვალიფიკაციების განვითარების სამსახურს და მათგან მიღებული პასუხის შესაბამისად, ტოვებდა ან ცვლიდა პროგრამებში დონეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის პოზიცია იყო სწორედ ასახული დასკვნაშიც - ის, რომ ვერ დგინდება რომელ დონეს შეესაბამება წარმოდგენილი პროგრამები. იგივე პოზიცია ჰქონდა დარგის ექსპერტსაც პროგრამების შესწავლის შემდეგ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რას აპირებენ ამ ხარვეზის გამოსასწორებლად, რაზეც კობა არაბულმა უპასუხა, რომ კიდევ ერთხელ დეტალურად გაეცნობიან ცენტრის მიერ შემუშავებულ დონის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და გაასწორებენ სწავლის შედეგის ფორმულირებებსაც.

საბჭოს წევრმა ნინო ტალიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რამდენად არის საკმარისი 18 საათი იმისთვის, რომ მსმენელმა დაძლიოს თემატიკით გათვალისწინებული საკითხები და გავიდეს პროგრამის მიზანზე, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს არის კვირაში 18 საათი და იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამები არის 8-9 კვირიანი ამ მოცულობით შესაძლებელი იქნება შედეგებზე გასვლა. მეორე შეკითხვა კი ეხებოდა კვლავ დაშვების წინაპირობაში მითითებულ უცხო ენას, რაზეც ნინო ტალიაშვილს კიდევ ერთხელ სურდა ექსპერტისგან დაზუსტება, თუ რომელი ენების დატოვებას ურჩევდა ის დაწესებულებას. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ პირველ რიგში, მისი რეკომენდაცია იქნებოდა პროგრამაში დარგობრივი უცხო ენის თემატიკის დამატება. თუნდაც 1 კვირაში რომ ისწავლონ მსმენელებმა ძირითადი დარგობრივი ტერმინები. ამ ეტაპზე თვითონ პროგრამის თემატიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ადამიანმა იცის თუ არა უცხო ენა, პროგრამის დაძლევადობასთან არ აქვს კავშირი. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს აღნიშნეს, მათ იმიტომ დააწესეს დაშვების წინაპირობად უცხო ენა, რომ პრიორიტეტული იქნებოდა მათთვის ამ კომპეტენციის მქონე მსმენელების მიღება. თუმცა, ეს ვერ გაწერეს გონივრულად შერჩევის წესში.

ნინო ტალიაშვილმა კიდევ დასვა ერთი კითხვა, თუ რამდენად გამჭვირვალეა შერჩევის კრიტერიუმები, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ბუნდოვანია გასაუბრების რეგულაცია. აღნიშნული წესი დაწესებულებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N71/ნ ბრძანებასთან

„პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა კომენტარი, რომ მათ უკვე მოიყვანეს შესაბამისობაში აღნიშნული დოკუმენტი, ჩაშალეს შერჩევის კრიტერიუმები და 17 დეკემბერს გაიტანეს და დაამტკიცეს სენატის სხდომაზე.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ მოკლევადიანი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების არსი არის, ასწავლოს და გამოუმუშავოს მსმენელს რაიმე კონკრეტული უნარი და კომპეტენცია. აქედან გამომდინარე ის თვლის, რომ მოცემული პროგრამები მოიცავს ბევრ ზოგად თემას და სჭირდება დაკონკრეტება. მითუმეტეს, რომ ოთხივე გადამზადების პროგრამებია. იმავე საკითხზე კომენტარი გაკეთა საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამაც და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ პარტნიორ ტურისტულ კომპანიასთან ჩართულობით უნდა დააკონკრეტოს სწორედ კონკრეტული ბაზრის მოთხოვნები და შესაბამისად, ააგოს პროგრამების შინაარსიც. ასევე, მან მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ საიდან წამოვიდა კონკრეტულად ამ 4 პროგრამის შემუშავების მოთხოვნა. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ბაზარზე უამრავი გიდია, საკმაოდ კარგი გამოცდილებითაც, რით იქნებოდნენ გამორჩეულები ამ პროგრამის კურსდამთავრებული გიდები?

კითხვაზე უპასუხა დაწესებულების წარმომადგენელმა კობა არაბულმა და აღნიშნა, რომ მას აქვს 20 წლიანი გამოცდილება ამ მიმართულებით და სანამ ამ პროგრამებს შეიმუშავებდა, მან შეისწავლა სლოვაკეთის და პოლონეთის უნივერსიტეტების გამოცდილება. ნახა მათი სამუშაო პრაქტიკა და შეხვდა ამ მიმართულებით კვალიფიციურ კადრებს. ასევე, საქართველოში ხშირად ჰქონია შემთხვევა, როდესაც მისი უცხოელი სტუმრებისთვის ყველაზე პოპულარულ ტურისტულ სერვისცენტრშიც კი ვერ გაუწევიათ სათანადო მომსახურება გიდებს. იგივე პრობლემაა გამყოლ გიდებზეც. შეუძლებელია საქართველოს ყველა კუთხეზე სრულფასოვნად მიაწოდოს მან ტურისტს ინფორმაცია. ქვეყანა არ უნდა გახადოს გიდმა ერთხელ ნახვის ობიექტი. ბევრი კომპონენტია პროგრამებში მნიშვნელოვანი, რაც დეტალურად უნდა იცოდეს გიდმა. ზოგადი აუცილებელი ცოდნაა ეს, რის გარეშეც შეუძლებელია კარგი მომსახურება გაწიოს გიდმა. დაწესებულება მზად არის მისცეს ეს ცოდნა მსმენელებს.

მარიამ ქუჩულორია ასევე დაინტერესდა, თუ იქნება ამ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმება შესაძლებელი, რაზეც კობა არაბულმა უპასუხა, რომ დაწესებულება თავად გაუწევს რეკომენდაციას წარმატებულ კურსდამთავრებულებს. იქიდან გამომდინარე, რომ კვალიფიციურ კადრზე მოთხოვნა ძალიან მაღალია, ისინი ფიქრობენ, რომ დასაქმება არ იქნება პრობლემა. სახელმწიფო სერტიფიკატი იქნება ღირებული დოკუმენტი, რომელიც ასევე იქნება მათი დასაქმების გარანტი.

მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ უცხო ენის ფლობა A2 დონეზე, მისი აზრით, არ არის საკმარისი ამ მიმართულებაში. სასურველია, გამართულად საუბრობდეს მსმენელი. სახელმწიფოც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებული მსმენელები იქნებიან საკმაოდ კვალიფიციურები. ნინო ტალიაშვილმა დასვა კითხვა რუსულენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით: როგორ მოხდება მისი სწავლის უზრუნველყოფა, თუ არ ეცოდინება მსმენელს რუსული, რაზეც დაწესებულებამ უპასუხა, რომ პროგრამაში დაამატებს ძირითადი დარგობრივი უცხო ენის სწავლების საკითხებსაც და უფრო გონივრულად გაწერს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსაც.

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, დაწესებულებას მიეცეს 1 თვიანი გამოსწორების ვადა ოთხივე პროგრამის ხარვეზების გამოსასწორებლად და რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. ასევე, უნდა დაკონკრეტდეს, რომელი უცხო ენა იქნება პროგრამების დაშვების წინაპირობად

განსაზღვრული და ინგლისური ენის შემთხვევაში, დაშვების წინაპირობად ტურიზმოპერატორის პროგრამებისთვის განისაზღვროს B1 დონე და გიდების პროგრამებისთვის B2 დონე.

3. შპს ტრანსკავკასიის ენერჯისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს ჰკითხა, იცნობდნენ თუ არა ექსპერტების დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ, მიმართა საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას, რომ წინა სხდომაზე საბჭომ 1 თვიანი გამოსწორების ვადა მიანიჭა დაწესებულებას და ახლა უკვე გაეცნენ მეორედ შემოტანილ განაცხადს. გარკვეული ხარვეზები გამოსწორებულია, თუმცა დასკვნაში კვლავ არის დაფიქსირებული ხარვეზები. თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულების წარმომადგენლები თუ გაეცნენ ახალ დასკვნას და ხომ არ სურდათ რაიმეს თქმა ამასთან დაკავშირებით ან პოზიციის დაფიქსირება. დაწესებულების დირექტორმა, მამუკა სხვიტარიძემ უპასუხა, რომ ისინი დროულად გაეცნენ აღნიშნულ დასკვნას და წარმოადგინეს განმახორციელებელ პირთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც უნდა ჩაერთოს სასწავლო პროცესში. სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ რეგლამენტების გარდა, სხვა დამატებითი ლიტერატურის მოძიებას და მომზადებას გეგმავენ უკვე სასწავლო პროცესის დაწყების შემთხვევაში. მათს სურთ, ევროპის მაგალითზე გადმოიტანონ ბევრი სიახლე, რაც ჯერ საქართველოში არ არის. წინასწარ ფორმალურად თაროზე შემოწყობას, მისი აზრით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ასევე, ის თვლის რომ პირველ დასკვნაში აღნიშნული ხარვეზები მათ გამოასწორეს და მეორე ვიზიტის შემდეგ იყო დამატებითი ხარვეზები. დაწესებულების დირექტორის აზრით, გაურკვეველი იყო კომისიის ვიზიტზე მისვლის მიზანი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა, რომ ლიმიტირებული დროის გამო კომენტარი გაეკეთებინათ და წარმოედგინათ საკუთარი არგუმენტები მხოლოდ დასკვნაში ასახულ კონკრეტულ ხარვეზებზე. ასევე, განუმარტა, რომ წარმოდგენილია დასკვნა, რომელსაც აქვს იურიდიული ძალა და მასში აღწერილი ხარვეზების მიხედვით, საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

კომენტარი კვლავ დაწესებულების დირექტორმა მამუკა სხვიტარიძემ გააკეთა და აღნიშნა, რომ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტისთვის განკუთვნილი სასწავლო გარემოების გათბობა შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის დაწყების შემთხვევაში. პრაქტიკული კომპონენტის სივრცეში მათ აქვთ სპეციალური აგრეგატები, რომლებსაც მიუერთებენ გაზს და ჩართავენ.

შემდეგი საკითხი, რაზეც ასევე ისაუბრა დაწესებულების დირექტორმა, იყო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დადებული ხელშეკრულებები. მისი აზრით, მათ ბიზნესში ასეთი ხელშეკრულებების წინასწარ დადება აზრს მოკლებულია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ამ ეტაპზე კომპანია ხომ არ აკეთებდა უკვე კადრების რაიმე სახის მომზადებას ან გადამზადებას. კომპანიის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ამ დრომდე მსგავსი პრაქტიკა არ ჰქონიათ და სწორედ ეს არის მათი მიზანი, რომ დაიწყონ. საქართველოში არ არსებობენ ამის სპეციალისტები და სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მათ ამ პროგრამის შემუშავება. საბჭოს თავმჯდომარე კვლავ დაინტერესდა, თუ ბაზარზე არ არსებობს ამ მიმართულების კვალიფიციური კადრები, ადამიანთა რომელ რესურსს იყენებს ეკონომიკის სამინისტრო ლიფტების შემოწმებისას. ნებისმიერი შენობა, რომელსაც აქვს ლიფტი, კანონის მიხედვით, მოწმდება 3 წელში ერთხელ. დაწესებულებამ უპასუხა, რომ ადრე არსებობდა ლიფტების სამმართველო, რომელიც ამზადებდა ლიფტების ხელოსნებს. შემდეგ ისინი გაიფანტნენ სხვადასხვა კერძო კომპანიებში. დღეს ვაწყდებით იმ პრობლემასაც, რომ გვაქვს ახალი სახეობის ლიფტები, რომლის შესაბამისი ხელოსნებიც აღარ არიან. მათი თქმით, სულ 5 კომპანიაა ამ მიმართულებით აკრედიტებული და აქედან მხოლოდ 3-ს აქვს ლიფტების შემოწმების სერტიფიკატი. გაიცემა 2 ტიპის A და B სერტიფიკატი. ორივეს ფლობის შემთხვევაში აქვს როგორც წარმოების, ასევე მომსახურების უფლებაც. ფაქტობრივად, სპეციალისტები არ არსებობენ და ეს ინვესტიციაც სწორედ ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე ჩაიდო. მოთხოვნა იყო მუნიციპალური მერიის და საჯარო უწყებების, რომ გადამზადდნენ კვალიფიციური კადრები. სწორედ ამიტომ ჩამოიტანა კომპანიამ თანამედროვე ტიპის სიმულაციური ლიფტიც და გეგმავს ჩამოიყვანოს ამ მიმართულებაში ერთ-ერთი ცნობილი თურქული კომპანია, რომელიც სასწავლო პროცესში დაეხმარება ორგანიზაციას. ამ პროცესებში ჩართულია და მხარდაჭერას გამოთქვამს თურქეთის საელჩოც. მომავალში იგეგმება სხვა ტექნიკური მიმართულებებით კიდევ უფრო მეტი ინვესტიციის ჩადება. საბჭოს წევრი ნინო ტალიაშვილი დაინტერესდა, რა არის იმის გარანტი, რომ ეს კომპანია ნამდვილად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და რა პერიოდით. დაწესებულების დირექტორმა უპასუხა, რომ დადებულია ხელშეკრულება. ნინო ტალიაშვილმა კი აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულება თარიღდება 2018 წლით. მისი აზრით, ბუნდოვანია ხელშეკრულების შინაარსი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხელშეწყობა მოდის თურქეთის საელჩოდან. ეს არის ცოცხალი პროცესი და რამდენი პირის ჩამოყვანაც გახდება საჭირო, მერე გამოიკვეთებოდა. აღნიშნული ხელშეკრულება მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა. მთავარია, კომპანიამ მოიძია და მოიპოვა მათი პროგრამის ანალოგის თარგმნის და განხორციელების უფლება, რაც საკმაოდ რთულია და შესაძლოა, სახელმწიფომაც კი ვერ მოიპოვოს. ფაქტობრივად, მათ მოდელზე დაყრდნობით, დაწესებულება გეგმავს ახალი ტექნოლოგიების შემოტანას და თუ რაიმე ხარვეზია ამ ეტაპზე, ეს ცოცხალი პროცესია და თანდათან გამოსწორდება.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა დასვა კითხვა, იმ შემთხვევაში თუ საბჭო მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას და დაწესებულებას მიენიჭება ამ პროგრამის განხორციელების უფლება, როგორ მოხდებოდა სასწავლო მასალით უზრუნველყოფა სასწავლო პროცესის წარმართვისთვის და კონკრეტულად როდის მომზადდებოდა ეს მასალები, მონიტორინგის მოსვლის შემთხვევაში, თუ იქნებოდა დადებული, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე. დაწესებულების დირექტორმა უპასუხა, რომ უკვე დიდი ინვესტიცია ჰქონდა ჩადებული და შესთავაზა საბჭოს, სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ კვლავ მოხდეს შემოწმება და თუ არ იქნება დამაკმაყოფილებელი სურათი, გაუქმდეს პროგრამა. მარიკა ზაქარეიშვილმა კვლავ გაამახვილა ყურადღება სასწავლო რესურსზე და სთხოვა დაწესებულებას, დაეკონკრეტებინა, რა ვადა დასჭირდებოდა მათ მოსამზადებლად. ამაზე დაწესებულების დირექტორმა უპასუხა, რომ სანამ არ ეცოდინებათ, იწყებენ თუ არა ამ პროგრამის განხორციელებას, იქამდე რთულია განსაზღვრა, როდის მოხდება სასწავლო რესურსების მომზადება. საბჭოს თავმჯდომარე კი დაინტერესდა, აქამდე რატომ ვერ მოესწრო შესაბამისი მასალების თარგმნა სასწავლო რესურსებისთვის. ამ კითხვაზე უპასუხა დაწესებულების მოკლევადიანი მომზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ლევან ქარაზანაშვილმა. მან

აღნიშნა, რომ პირველი განაცხადის დროს წარმოდგენილი პროგრამა იყო პირდაპირ თარგმნილი ვერსია თურქული პროგრამის ვარიანტისა, რომელიც კომისიის აზრით, არ იყო მორგებული ქართულ კანონმდებლობას. შემდეგ ფორმალობის დასაკმაყოფილებლად შეიცვალა პროგრამა და მოვიდა შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. ამ ეტაპზე სწავლის დასაწყებად სრულებით საკმარისია არსებული პროგრამა და რეგლამენტები. დანარჩენი მასალების მომზადება მოხდება ეტაპობრივად. რაც მთავარია, უნიკალური სიმულაციური ლიფტი უკვე დამონტაჟებულია. დაწესებულების დირექტორმა კი დაამატა, რომ ვინც ჩამოვა სწავლის პროცესში დასახმარებლად, ის ჩამოიტანს შესაბამის მასალებსაც. ენის ბარიერი მას არ ექნება, რადგან მან იცის ქართული ენა. თავდაპირველად ამ პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლისგან მოხდება სამი ადგილობრივი განმახორციელებელი პირის გადამზადებაც.

საბჭოს წევრმა ნინო ტალიაშვილმა დასვა კითხვა უსაფრთხო სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით, რაზეც ლევან ქარაზაშვილმა უპასუხა, რომ მისი ობიექტური მოსაზრებით, დასკვნაში ასახული გარემოებები არ შეესაბამება რეალურ მდგომარეობას. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, ფოსტით უკვე გამოეგზავნა დაწესებულებას, თუმცა საბჭოს სხდომამდე ვერ მოესწრო მოტანა. დაწესებულების თქმით, შემოწმება უკვე შედგა და რაც გამოსასწორებელი იყო, უკვე გაკეთდა. გათბობის სისტემის აგრეგატორები არის ჰოლანდიური ფირმის და ნამდვილად შესაძლებელია მისი გათბობა მას შემდეგ, რაც გაზის წყაროს მიუერთდება. კერძო სექტორი წინასწარ არ დახარჯავს დამატებით ფულს სწავლის დაწყებამდე გათბობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ, მიმართა დარგის ექსპერტს, დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება და არგუმენტები, რის შემდეგაც პრეზენტაცია წარადგინა საქმისწარმოებაში ჩართულმა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მისასალმებელია სურვილი, ამ დარგში განახორციელოს სწავლება კომპანიამ. ქვეყანას ნამდვილად სჭირდება ამ მიმართულებაში კვალიფიციური კადრების გადამზადება, რომლებიც ამ ეტაპზე არ არიან. რაც შეეხება სასწავლო გარემოს, თეორიული კომპონენტისთვის წარმოდგენილია A და B გარემო. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც და ყველაფერი წესრიგშია. რაც შეეხება სასწავლო გარემოების გათბობას, ეს შესაძლებელი იქნებოდა ნამდვილად, თუ ეს იქნებოდა დახურული სივრცე. თუმცა, A გარემო ღია კორიდორის ტიპის გასასვლელით უერთდება საწყობს, რაც ვერ უზრუნველყოს ნორმით განსაზღვრულ ტემპერატურამდე გათბობას (20-21 გრადუსი). რეალობა არის ასეთი და თუ მოხდება გათბობა, მისასალმებელი იქნება. C პრაქტიკული კომპონენტის გარემო კი შედგება 3 სივრცისგან, რომლებიც არ არის ერთმანეთისგან იზოლირებული და გამჭოლი ადგილმდებარეობა აქვთ. ლიფტის სიმულატორი არის მე-2 სივრცეში. სიმულატორი ნამდვილად შესაბამისია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებეისთვის, თუმცა აქაც დგას გათბობის საკითხი. გამათბობელი დანადგარები ამ ეტაპზე არ არის შეერთებული გაზის წყაროსთან. რაც შეეხება C გარემოს გარე ფასადს, საფრთხის შემცველია ჩამტვრეული ფანჯრის მინები. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა კი აღნიშნეს, რომ ეს არის შესასვლელი სივრცე და იქ არ მოუწევს მსმენელს შეხება, თუმცა მინიმუმ მაინც სასურველია დაყენდეს გამაფრთხილებელი უსაფრთხოების ნიშნები როგორც გარე, ასევე შიდა მხრიდან. კომპანიამ წარმოადგინა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნაც, რომელიც ასევე დამაკმაყოფილებელია. სახანძრო უსაფრთხოების შესახებ წერილში კი იკითხება, რომ მოსახსნელია დროებითი სადენები, რაც ვიზუალური დათვალიერებით ჯერ კიდევ არ არის მოხსნილი. სახანძრო უსაფრთხოების სტენდი და ცეცხლმაქრები მოყვანილია წესრიგში.

ექსპერტმა ყურადღებაა გაამახვილა 1.3 ქვესტანდარტზე, რომელიც ეხება პროგრამის მიზანს. პროგრამის მიზანში გაწერილია: „გადაამზადოს ლიფტების მომსახურების სფეროში მომუშავე სპეციალისტი, რომელიც შეძლებს საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმების დაცვით შენობა-

ნაგებობებში ლიფტების მონტაჟს, დამონტაჟებული ლიფტების მექანიზმების და სისტემების ტექნიკური მდგომარეობის გამართვას, კონტროლს, რემონტსა და აღდგენას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ლიფტების ქარხნული საექსპლუატაციო რესურსის შენარჩუნება და მგზავრების უსაფრთხოება". ქვესტანდარტის შეფასების დროს დადგინდა, რომ პროგრამის შედეგებში და თემატიკაში არ არის გაწერილი საერთაშორისო ნორმების სწავლებისა და გამოყენების შესახებ. პროგრამის მიზანში მოცემული კონკრეტული ჩანაწერი არ არის შესაბამისობაში პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

საბჭოს წევრმა ნინო ტალიაშვილმა მიმართა ექსპერტს, დაესახელებინა ის გამოუსწორებელი ხარვეზები, რაც რეალურად ხელს უშლის პროგრამის განხორციელებას. იგივე კითხვა განავრცო საბჭოს თავმჯდომარემ და სთხოვა ექსპერტს, 10 ბალიანი სისტემით შეეფასებინა და დაესახელებინა ის კრიტიკული ხარვეზები, რაც მისი აზრით, ვერ გამოსწორდებოდა ამ ეტაპზე. აღნიშნულ კითხვებზე დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ რეალურად ეს არის სასწავლო გარემოს ამჟამინდელი მდგომარეობა, სასწავლო რესურსები, რომელიც საჭიროა პროგრამაში ასახული თეორიული საკითხების სასწავლებლად. ქართულად არ არსებობს შესაბამისი ლიტერატურა და საჭირო გახდება თარგმნა, მაგალითად, რუსული ლიტერატურიდან. მნიშვნელოვანია, პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა უზრუნველყონ ამ მასალის მომზადება. ნინო ტალიაშვილმა კვლავ დაუკონკრეტა ექსპერტს კითხვა, რამდენიმე დღეში სწავლის დაწყების შემთხვევაში იყო თუ არა მსმენელებისთვის უზრუნველყოლიფილი უსაფრთხო სასწავლო გარემო, იყო თუ არა მზად დაწესებულება სასწავლო პროცესის დასაწყებად. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ C გარემო მოსაყვანია წესრიგში უსაფრთხოების სტანდარტების თვალსაზრისით. ვიზიტის დროს ფაქტობრივი მდგომარეობა დეტალურად აღიწერა დასკვნაში. უნდა აღმოიფხვრას რიგი საკითხები.

საბჭოს წევრმა ნინო ტალიაშვილმა ექსპერტს ჰკითხა მსმენელთა შერჩევის წესზეც. ექსპერტის აზრით, აღნიშნული დოკუმენტი არ არის გამჭვირვალე. კრიტერიუმები არ არის სწორად და ადეკვატურად გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დასკვნის ერთ-ერთ ნაწილზე განმახორციელებელი პირების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით, რაზეც ასევე კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა. მისი აზრით, ზოგადად პროგრამის განმახორციელებელი პირები ძირითადად არ არიან ხოლმე ჩართულები პროგრამის შემუშავების პროცესში. თუმცა, სასურველია წინასწარ დეტალურად იცნობდნენ მაინც პროგრამას. ექსპერტმა ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ისიც სწორედ გულისხმობდა იმ ფაქტს, რომ მინიმუმ უნდა იცნობდეს განმახორციელებელი პირი პროგრამას და წინასწარ იცოდეს, პროგრამის რომელი ნაწილის წარმართვაზე იქნება ის პასუხისმგებელი, რაც ვიზიტის დროს ვერ დადგინდა ერთ-ერთ განმახორციელებელ პირთან გასაუბრებისას.

საბჭოს წევრებს მიმართა საბჭოს აპარატის კოორდინატორმა ნინო ბაბალაშვილმა და აღნიშნა, რომ ვიზიტის შედეგად დასკვნაში აღწერილი იქნა რეალური მდგომარეობა. ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობით, სასწავლო გარემო ნამდვილად არ არის მზად სასწავლო პროცესის დასაწყებად და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რა მიმართულებითაც სჭირდება დაწესებულებას კიდევ უფრო მეტი მუშაობა, ეს არის შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება და მომზადება. ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე დაწესებულება არ არის მზად სასწავლო პროცესის დასაწყებად.

დამატებითი კითხვები საბჭოს წევრებს არ ჰქონიათ და საბჭოს თავმჯდომარემ შპს ტრანსკავკასიის ენერჯისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა გამოაცხადა.

„ლიფტების მონტაჟისა და უსაფრთხო ექსპლოატაციის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე, დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად,

შპს ტრანსკავკასიის ენერჯის (ს/კ: 206328758) უარი ეთქვას „ლიფტების მონტაჟისა და უსაფრთხო ექსპლოატაციის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 19:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მარიამ ქუჩულორია

სხდომის მდივანი
მარიკა ზაქარეიშვილი